

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. ამონაგები რეალიზაციიდან	10
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	10
8. კომერციული ხარჯი	11
9. ფინანსური ხარჯი	11
10. მოგების გადასახადი.....	11
11. ძირითადი საშუალებები	12
12. გაცემული გრძელვადიანი სესხი.....	13
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	13
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
15. გაცემული მოკლევადიანი სესხები	13
16. საგადასახადო აქტივი	14
17. ფული და ფულის ექვივალენტები.....	14
18. კაპიტალი	14
19. მიღებული სესხები	14
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
21. პირობითი ვალდებულებები	15
22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
23. ბალანსის შემდგომი მოვლენები	17

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	20
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	20
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	20
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პორტალ პერტროლუმ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობას და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პორტალ პერტროლუმ ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „პორტალ პერტროლუმ ჯორჯია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 16,295 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 7,448 ათასი ლარით და კომპანია საჭიროებს ინვესტიციებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად და სასესხო ვალდებულებების დასაფარად.

მომავალში ვალდებულებების გასტუმრება და საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვა არსებითად არის დამოკიდებული მომავალში დაფინანსების მიღებაზე. მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანია საშუალოვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას და სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად აუცილებელი ფულადი სახსრების მოზიდვას. ამისთვის კომპანიას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგია და ბიზნეს მოდელი.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად.
თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებითი შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

5 იანვარი, 2024

თბილისი, საქართველო.

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ. #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ. #SARAS-A-629166)

5 იანვარი, 2024

თბილისი, საქართველო.



შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან	5	369,269	310,260
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(355,993)	(302,449)
საერთო მოგება		13,276	7,811
სხვა საოპერაციო შემოსავალი		85	109
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(1,968)	(666)
კომერციული ხარჯი	8	(1,043)	(1,221)
საოპერაციო მოგება		10,350	6,033
ფინანსური შემოსავალი		151	2
ფინანსური ხარჯი	9	(2,588)	(1,445)
საკურსო მოგება/(ზარალი)		285	(128)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		236	-
მოგება დაბეგვრამდე		8,434	4,462
მოგების გადასახადი	10	-	(275)
წლის სრული შემოსავალი		8,434	4,187

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 5 იანვარი:

მაკა მიშველიძე
დირექტორი

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან	5	369,269	310,260
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(355,993)	(302,449)
საერთო მოგება		13,276	7,811
სხვა საოპერაციო შემოსავალი		85	109
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(1,968)	(666)
კომერციული ხარჯი	8	(1,043)	(1,221)
საოპერაციო მოგება		10,350	6,033
ფინანსური შემოსავალი		151	2
ფინანსური ხარჯი	9	(2,588)	(1,445)
საკურსო მოგება/(ზარალი)		285	(128)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		236	-
მოგება დაბეგვრამდე		8,434	4,462
მოგების გადასახადი	10	-	(275)
წლის სრული შემოსავალი		8,434	4,187

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 5 იანვარი:


 მკა მიშველიძე
 დირექტორი

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	465	694
გაცემული გრძელვადიანი სესხი	12	6,983	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,448	694
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	16,295	11,051
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	23,536	6,240
გაცემული მოკლევადიანი სესხები	15	3,170	230
საგადასახადო აქტივი	16	495	1,354
ფული და ფულის ექვივალენტები	17	684	12
სულ მიმდინარე აქტივები		44,180	18,887
სულ აქტივები		51,628	19,581
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება	18	-	-
სულ კაპიტალი		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	19	30,243	14,631
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	21,385	4,950
სულ მიმდინარე ვალდებულებები		51,628	19,581
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		51,628	19,581

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020	-	262	262
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	4,187	4,187
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
გამოცხადებული დივიდენდი	-	(4,449)	(4,449)
31 დეკემბერი 2021	-	-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	8,434	8,434
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
გამოცხადებული დივიდენდი	-	(6,872)	(6,872)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	(1,562)	(1,562)
31 დეკემბერი 2022	-	-	-

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	8,434	4,462
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	74	47
ფინანსური ხარჯი	2,588	1,445
ფინანსური შემოსავალი	(151)	(2)
საკურსო ზარალი/(მოგება)	(285)	128
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	10,660	6,080
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(5,244)	(4,572)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(17,296)	3,567
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში	859	(2,559)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	17,017	4,697
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	5,996	7,213
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(275)
გადახდილი პროცენტი	(2,516)	(1,418)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,480	5,520
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების (შესყიდვა)/რეალიზაცია	155	(680)
გაცემული სესხები	(9,772)	(230)
საინვესტიციო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(9,617)	(910)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული/(დაფარული) სესხი	15,439	(83)
გადახდილი დივიდენდი	(6,872)	(4,449)
მეწილის სახელით განხორციელებულ ოპერაციებზე	(1,562)	-
გასული ფული, ნეტო	-	2
მიღებული პროცენტი	-	2
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული)	7,005	(4,530)
წმინდა ფულადი ნაკადები		
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	868	80
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	53
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(196)	(121)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	684	12

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2019 წლის მაისში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405336337.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შეძენა და საბითუმო რეალიზაცია ცენტრალიზებულად ან მითითებულ მისამართებზე. კომპანიის მიერ პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ. ხუციშვილის ქ. #3. კომპანიის ძირითადი ბაზა და საქმიანობის ადგილი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანში.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „პპ“. დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მსჯელობა მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
რეზერვუარები	7
შენობა ნაგებობები	3-4
სატრანსპორტო საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	3-7
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	3 - 5

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკვეთვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადადამდგარი კრედიტორული დავალიანება.
- 2023 წლის მეორე კვარტლიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანია ძირითადად ემსახურებოდა სესხის პროცენტს და ბანკთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ჰოლდინგის მასშტაბით გრძელვადიანი, მდგრადი დაფინანსების მოდელის შემუშავებაზე.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიას აქვს უარყოფითი შედეგები, ვერ უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას საკუთარი ოპერაციებით და საჭიროებს დამატებით დაფინანსებას.

მენეჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ჰოლდინგის მასშტაბით გარკვეული აქტივების რეალიზაციის შედეგად მოხდა ბანკიდან მიღებული სესხის დაფარვა 5,000-მდე ლარის ოდენობით. ამასთან, ჰოლდინგის მასშტაბით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბანკთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმის შემუშავებაზე. კერძოდ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საკრედიტო ხაზების ანუიტეტთან სესხებად გარდაქმნასთან და ახალი გადახდის გრაფიკის შედგენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ მოუწევს სასესო ვალდებულებების მოკლევადიან პერიოდში დაფარვა.
- კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები ჰოლდინგის დონეზე მუშაობენ, რომ დააიდენტიფიცირონ ისეთი აქტივები, რომლებსაც ფლობდნენ მომავალში განსახორციელებელი პროექტებისთვის და შესაძლებელია მიმდინარედ მათი გამოყენება სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.
- დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჰოლდინგის მასშტაბით ინვესტირებაზე. მოლაპარაკებების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და შეთანხმება მიმდინარეობს დეტალებზე, რომლის შემდეგაც კომპანია კაპიტალში შენატანის ფორმით მიიღებს დაფინანსებას, შედეგად კომპანია უზრუნველყოფს საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებას.
- მენეჯმენტი მუშაობს ასევე ხარჯების ოპტიმიზირების შესაძლებლობაზე და ეს პროცესი არ არის დასრულებული;
- კომპანიამ ბენეფიციარი მფლობელებისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ისინი გამოხატავენ მზადყოფნას, რომ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ კომპანია ფინანსური რესურსით, რათა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიამ შეძლოს ვალდებულებების სრულად მომსახურება.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2022	2021
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან	240,356	202,495
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან დაკავშირებულ მხარეზე	128,268	107,607
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურების გაწევიდან დაკავშირებულ მხარეზე	645	158
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	369,269	310,260

ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან

	2022	2021
დიზელი	257,492	198,845
რეგულარი	89,365	93,551
პრემიუმი	21,767	17,706
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან	368,624	310,102

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საწვავის შეძენის ღირებულებას, საწვავის ტრანსპორტირებისთვის გაწეულ დანახარჯებს და ინვენტარიზაციის შედეგად აღიარებულ ნორმატიულ სხვაობებს.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(916)	(254)
საგადასახადო ხარჯი	(280)	(80)
საკონსულტაციო ხარჯები	(130)	(64)
რემონტის ხარჯი	(105)	(47)
საიჯარო ქირა	(77)	(15)
ცვეთა და ამორტიზაცია	(74)	(47)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(33)	(6)
სადაზღვევო ხარჯი	(11)	(3)
მარაგების აზომვის ღირებულება	(8)	(24)
სხვა ხარჯი	(334)	(126)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,968)	(666)

8. კომერციული ხარჯი

კომპანიას არ აქვს საკუთრებაში საწვავის შენახვისათვის საჭირო რეზერვუარები, შესაბამისად იჯარის მომსახურებას იღებს დაკავშირებული მხარისგან. კომერციული ხარჯი სრულად წარმოადგენს რეზერვუარების საოპერაციო იჯარის ღირებულებას, რომლებშიც ინახება კომპანიის საწვავი.

9. ფინანსური ხარჯი

	2022	2021
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხის პროცენტი	(2,517)	(1,402)
დაკავშირებული იურიდიული პირისგან მიღებული სესხის პროცენტი	(71)	(43)
სულ ფინანსური ხარჯი	(2,588)	(1,445)

10. მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოცხადებულ დივიდენდზე 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 0 ლარი და 275 ლარი.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობა	რეზერვუარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2020	-	-	-	22	42	64
შემოსვლა	312	246	70	44	8	680
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	312	246	70	66	50	744
შემოსვლა	-	-	351	71	10	432
გასვლა	(312)	(246)	(73)	-	-	(631)
31 დეკემბერი 2022	-	-	348	137	60	545
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2020	-	-	-	(2)	(1)	(3)
ცვეთა	(2)	(13)	(12)	(10)	(10)	(47)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(2)	(13)	(12)	(12)	(11)	(50)
ცვეთა	(4)	(25)	(17)	(16)	(12)	(74)
გასვლა	6	38	-	-	-	44
31 დეკემბერი 2022	-	-	(29)	(28)	(23)	(80)
31 დეკემბერი 2021	310	233	58	54	39	694
31 დეკემბერი 2022	-	-	319	109	37	465

საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებულ ძირითად საშუალებებზე ინფორმაცია იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

კომპანიამ 2022 წელს დაკავშირებულ მხარეს მიჰყიდა მიწა და მასზე არსებული რეზერვუარები გარდაბნის რაიონში.

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. გაცემული გრძელვადიანი სესხი

2022 წელს კომპანიამ გასცა სესხი ეროვნულ ვალუტაში მშობელ საწარმოზე, რომლის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2025 წლისთვის, გაცემული სესხის თანხა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,983 ლარს.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს სარეალიზაციო საწვავს, რომელიც შედგება სამი ტიპის საწვავისაგან:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
რეგულარი	11,147	2,809
პრემიუმი	3,407	122
დიზელი	1,741	8,120
სულ მარაგები	16,295	11,051

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ	13,327	3,559
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	5,099	1,533
	18,426	5,092
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	-	-
ფინანსური აქტივები, ნეტო	18,426	5,092
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	5,110	1,148
გაუფასურების ანარიცხი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,536	6,240

სავაჭრო მოთხოვნები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

15. გაცემული მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხიდან	ლარი	11.5%	2,665	26
მოთხოვნები ბენეფიციარ მფლობელებზე გაცემული სესხიდან	ლარი	19%	505	-
მოთხოვნები მეწილეზე გაცემული სესხიდან	ლარი	11.5%	-	204
სულ გაცემული სესხები			3,170	230

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები სრულად წარმოადგენს ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

18. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2022 წლის ბოლოს შეადგენს 0 ლარს (2021: 0 ლარი).

2021 წლიდან შპს „პპ“ არის შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს მშობელი საწარმო, ხოლო შპს „პპ“-ის მეწილეებს წარმოადგენენ ნოდარ ხუბაშვილი (50%) და შალვა ხუბაშვილი (50%).

კომპანიამ 2022 წელს გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 6,872 ლარის ოდენობით (2021: 4,449 ლარი).

დამფუძნებელზე გაცემული თანხებიდან 1,687 ლარი კლასიფიცირებულია, როგორც გაცემული სესხი (2021: 204).

19. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი	ლარი	11.5-14.5 %	22,880	14,000
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი	ევრო	7,75%	4,326	-
ფაქტორინგი	ლარი	9%	1,183	-
ფაქტორინგი	დოლარი	10%	999	-
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან მიღებული სესხი	ლარი	11.5%	855	631
სულ მიღებული სესხები			30,243	14,631

დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხზე კომპანიას არ აქვს შესასრულებელი ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები.

ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების ფინანსირება, ამასთან კომპანიას შესასრულებელი აქვს სხვადასხვა სახის ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები.

კომპანიას დარღვეული აქვს ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს ფინანსურ კოვენანტებს, შესაბამისად მიღებული სესხი წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანია სესხის აღებიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში გრაფიკის მიხედვით ფარავს სასესხო ვალდებულებას, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ მოუწევს სასესხო ვალდებულებების დროზე ადრე დაფარვა.

მიღებული სესხი უზრუნველყოფილია შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს კუთვნილი ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო სავაჭრო მარაგებით, ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონებით. ბენეფიციარი მფლობელების საკუთრებაში არსებული ქონებით, შპს „ვოლსი გლდანის“ კომერციული ქონებით, შპს „Portal“-ის (დაკავშირებული კომპანია) კუთვნილი ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო სავაჭრო მარაგებით, შპს „Portal“-ის უძრავი ქონებით. შპს „Portal“ და შპს „პორტალ +“ წარმოადგენენ კომპანიის თავდებს ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობისას.

კომპანიას სს თიბისი ბანკთან დადებული აქვს რევერსული ფაქტორინგის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კომპანია ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას კომუნიკაცია დაამყაროს მის კონტრაგენტთან დებიტორული

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მოთხოვნის შესყიდვის მიზნით და აცხადებს თანხმობას ბანკის სასარგებლოდ დებიტორული მოთხოვნის დათმობაზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიის დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენს 2,182 ლარს.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	15,379	3,864
მიღებული ავანსები	5,785	1,051
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ	221	35
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,385	4,950

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები,

ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	221	36

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „პორტალ +“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	12,363	3,520
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	933	25
შპს „ვოლსი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	31	14

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მიღებული სესხები

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „მწვანე მუხები“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	825	631
შპს „ქართული წვენი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	30	-

გაცემული მოკლევადიანი სესხები

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „პ3“	მშობელი საწარმო	6,983	204
შპს „ვოლსი გლდანი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,183	-
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,143	-
ნოდარ ხუბაშვილი	ბენეფიციარი მფლობელი	505	-
შპს „ქართული წვენი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	277	-
შპს „ვოლსი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	61	26
შპს „დაცვის საერთაშორისო კომპანია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1	-

კომერციული ხარჯი

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,036	1,153

საქონლის შესყიდვა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „პორტალ +“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	76	-

ფინანსური ხარჯი

კომპანია	დაკავშირების სახე	2022	2021
შპს „მწვანე მუხები“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	71	48

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	დაკავშირების სახე	2022	2021
შპს „პორტალ +“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	128,907	107,764
ნოდარ ხუბაშვილი	ბენეფიციარი მფლობელი	6	-

სხვა საოპერაციო შემოსავლები

კომპანია	დაკავშირების სახე	2022	2021
შპს „პორტალ +“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	39	41
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	20	20
შპს „ვოლსი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	15	12

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ანაზღაურება	532	72

ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება

კომპანია	დაკავშირების სახე	2022	2021
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	236	-

საპროცენტო შემოსავლები დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხებიდან

კომპანია	დაკავშირების სახე	2022	2021
შპს „პ3“	მშობელი საწარმო	87	-
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	36	-
ნოდარ ხუნაშვილი	ბენეფიციარი მფლობელი	12	-
შპს „ქართული წვენი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	7	-
შპს „ვოლსი გლდანი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6	-
შპს „ვოლსი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3	2

23. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2023 წელს მშობელმა კომპანიამ შპს პ3-მა შეავსო საწესდებო კაპიტალი 4,755 ლარის ოდენობით.

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია მაკა მიშველიძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადი საქმიანობა 2022 წლის განმავლობაში იყო ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და საბითუმო რეალიზაცია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე. კომპანიის მიერ შეძენილი პროდუქცია იყიდებოდა საქართველოში. კომპანია მომხმარებელს საწვავთან ერთად სთავაზობს ყველა სახის ლოჯისტიკურ მომსახურებას (ადგილზე მიტანა, ადგილზე ბუნკირება, საწვავის ყიდვა-გაყიდვა). კომპანიის ძირითადი ბაზა და საქმიანობის ადგილია გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი, ვაზიანი, სადაც კომპანიას იჯარით აღებული აქვს რეზერვუარები.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2022	2021
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან	240,356	202,495
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან დაკავშირებულ მხარესთან	128,268	107,607
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურების გაწევიდან დაკავშირებულ მხარესთან	645	158
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	369,269	310,260

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შეძენა და საბითუმო რეალიზაცია ცენტრალიზებულად ან მითითებულ მისამართებზე. კომპანიის მიერ პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

	2022	2021
დიზელი	257,492	198,845
რეგულარი	89,365	93,551
პრემიუმი	21,767	17,706
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან	368,624	310,102

კომპანიის სტრუქტურა.

საანგარიშგებო პერიოდში შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს დირექტორი იყო ნოდარ ხუბაშვილი. 2023 წლის მარტიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიის დირექტორია მაკა მიშველიძე. დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად.

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი კოეფიციენტები:

	2022	2021
სულ შემოსავალი	369,269	310,260
სულ აქტივები	51,628	19,581
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	9	9
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.86	0.96
მარაგების ბრუნვა (დღე)	16.71	13.34
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	21.93	5.97
დებიტორების ბრუნვა (დღე)	24.13	7.34

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯიას“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 8 დან 12-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, მიმდინარე საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

შპს "პორტალ პეტროლეუმ ჯორჯიას" ჰყავს 250-მდე პარტნიორი კომპანია, რომელსაც ამარაგებს საწვავით. კომპანიის ძირითადი კლიენტები არიან როგორც მსხვილი კომპანიები ასევე ავტოგასამართი სადგურები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია იღებს სრულ პასუხისმგებლობას საწვავის ხარისხსა და მომსახურებაზე.

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯიას“- ძირითადი მომწოდებლები არიან როგორც რეზიდენტი კომპანიები, ასევე არარეზიდენტი კომპანიები, შესაბამისად მომწოდებლები მნიშვნელოვნად დივერსიფიცირებულია.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირდება საბითუმოდ საწვავის რეალიზაციით კერძო ორგანიზაციებზე და ასევე ტრანსპორტირების მომსახურების გაწევით, კომპანია მომავალში არ გეგმავს საქმიანობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2022	2021	გადახრის ახსნა
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16,295	11,051	შენიშვნა 1
სავაჭრო ვალდებულებები	21,385	4,950	შენიშვნა 2
გაცემული გრძელვადიანი სესხები	6,983	-	შენიშვნა 3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,536	6,240	შენიშვნა 1
გაცემული მოკლევადიანი სესხები	3,170	230	შენიშვნა 3
მიღებული მოკლევადიანი სესხები	30,243	14,631	შენიშვნა 4

შენიშვნა 1

სასაქონლო მატერიალური მარაგების მაღალი დონე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ კომპანიამ წლის ბოლოს იმპორტით შეისყიდა დიდი ოდენობით საწვავი, ამასთან, საწვავის ნაშთის დონე გაიზარდა რეალიზაციის ზრდის შესაბამისად.

შენიშვნა 2

სავაჭრო ვალდებულება თითქმის სრულად წარმოადგენს საწვავის წლის ბოლო შესყიდვის ღირებულებას.

შენიშვნა 3

გრძელვადიანი სესხები სრულად წარმოადგენს დამფუძნებელზე გაცემულ სესხებს. ამასთანავე, კომპანიამ მოკლევადიანი სესხები გასცა სხვა დაკავშირებულ მხარეებზეც.

შენიშვნა 4

მიღებული მოკლევადიანი სესხები თითქმის სრულად წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტებისაგან მიღებულ სესხებს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,688
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,672	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რადგან შესასყიდი საქონლის ღირებულება უცხოურ მომწოდებლებთან განისაზღვრება აშშ დოლარში. გამომდინარე იქიდან, რომ საქონლის რეალიზაცია ხორციელდება ლარში კომპანიისთვის სავალუტო რისკი მიჩნეულია მნიშვნელოვან ბიზნეს რისკად და მუდმივად მიდის მუშაობა სავალუტო რისკის ჰეჯირების ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 5 იანვარს:

მაკა მიშველიძე
დირექტორი

შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. მირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 5 იანვარს:


მაკა მიშველიძე
დირექტორი